განკარგულება:**g-95. 95253607**

თარიღი:**26/12/2025**

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 (ორი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩის, I შესახვევი, №4-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული უძრავი ქონება (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.01.37.061.01.504 და ს/კ 21.01.37.061.01.505).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2025 წლის 1 დეკემბრის №8113/02 წერილით ითხოვს აღნიშნული 2 (ორი) ერთეული ქონების (საცხოვრებელი ბინის), შემდგომში იქ მცხოვრები ფაქტობრივ მფლობელი მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩის, I შესახვევი, №4-ში მდებარე 2 (ორი) ერთეული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.01.37.061.01.504 და ს/კ 21.01.37.061.01.505) უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემას, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის (ოჯახისათვის) არსებულ ქონებაზე (ბინაზე) საკუთრების უფლების რეგისტრაციას.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება, კერძოდ:

ა)ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩის, I შესახვევი, №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის I სართულზე არსებული 31.10 კვ.მ. ფართი (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.01.37.061.01.504);

ბ)ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვედა მახუნცეთი, მე-5 ქუჩის, I შესახვევი, №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის I სართულზე არსებული 38.90 კვ.მ. ფართი (საცხოვრებელი ბინა), (ს/კ 21.01.37.061.01.505).

2.ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე